

თსუ საზაფხულო სკოლა

„ციფრული კვლევის მეთოდები ფილოლოგიურ მეცნიერებებში“

(ანოტაცია)

საზაფხულო სკოლის ბენეფიციარები:

საზაფხულო სკოლა „ციფრული კვლევის მეთოდები ფილოლოგიურ მეცნიერებებში“ ჩატარდება 2014 წლის 24–30 აგვისტოს. იგი განკუთვნილია თსუ-ის და აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკრედიტებული პროგრამების სტუდენტებისათვის. პროექტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფილოლოგიური, არამედ ზოგადჰუმანიტარული პროფილის სტუდენტი, ვინაიდან ციფრული ფილოლოგიის მეთოდების გამოყენება შესაძლებელია ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა დარგში.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისთვის არ არის სავალდებულო ინგლისური ან რომელიმე სხვა უცხო ენის ცოდნა, რადგან პროექტი ითვალისწინებს ჰენდაუტების, ლექცია-პრაქტიკუმების თარგმნას ინგლისურიდან და იტალიურიდან ქართულად.

პროექტში მონაწილეობის საშუალება ექნება მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 40 სტუდენტს, მათგან 20 იქნება თსუ-სა და დედაქალაქის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტი, ხოლო 20 - საქართველოს სხვადასხვა რეგიონული უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

საზაფხულო სკოლის მონაწილეთა შერჩევა მოხდება ღია კონკურსის წესით. უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური საქმიანობისთვის (სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების წარმატებით შესრულებისთვის) კვლევის ციფრულ მეთოდებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საზაფხულო სკოლის მიზნები:

საზაფხულო სკოლის მიზნებია: თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებების უმნიშვნელოვანესი და ინტერდისციპლინური სფეროს - ციფრული ფილოლოგიის - ციფრული ლიტერატურისმცოდნეობისა და კორპუსლინგვისტიკის მეთოდების სწავლება; სტუდენტებისთვის თანამედროვე ციფრული და ინტერდისციპლინური მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავება; საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე ინტერდისციპლინური მეთოდებისა და მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა.

საზაფხულო სკოლის აკადემიური პროგრამის აღწერა:

საზაფხულო სკოლის შინაარსი ეფუძნება სასწავლო კურსებს, რომლებიც იკითხება ბოლონის, სალერნოსა და სოფიის უნივერსიტეტებში (იტალია, ბულგარეთი). ამდენად, საზაფხულო სკოლის ქართველ მსმენელებს საშუალება ექნებათ მიიღონ ის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებსაც ეფუძნებიან ბოლონის, სალერნოსა და სოფიის უნივერსიტეტების შესაბამისი სასწავლო კურსების სტუდენტები.

საზაფხულო სკოლა ითვალისწინებს 3 ECTS კრედიტის მინიჭებას (22 საკონტაქტო და 53 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ 75 საათი).

საზაფხულო სკოლის შინაარსი:

პირველი ნაწილი: ტექსტის კოდირება

ციფრული ფილოლოგიის ტექსტის კოდირება; რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ ინფორმატიკა და ლიტერატურა. სხვადასხვა მიდგომები, მეთოდები და აპლიკაციები (კონკრეტული მაგალითები); ინფორმატიკა და ლიტერატურა ტექსტის კოდირებისთვის: მარკირების ენები SGML-დან XML-მდე; TEI-XML Lite: სტანდარტული ენა ტექსტის კოდირებისთვის. TEI-XML ტექსტის სტრუქტურა. xml სტრუქტურის მქონე ტექსტების მაგალითები. სტრუქტურირებული ტექსტები. XML რედაქტორები.

მეორე ნაწილი: ტექსტის ანალიზი

ინფორმატიკისა და ტექსტის ანალიზის შესავალი. რატომ ტექსტის ანალიზი და რატომ კომპიუტერები? AntConc როგორც ტექსტის ანალიზის ინსტრუმენტი: ინტერფეისის, სიტყვების სიის და სიხშირის შესწავლა; AntConc: n-grams და კოლოკაცია; AntConc: ლემა და ლემათა სია; საკვანძო სიტყვები და საკვანძო სიტყვების სია.

მონვეული უცხოელი ლექტორები:

ჯან პაოლო რენელო არის სალერნოს უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც განათლება მიღებული აქვს იტალიის წამყვან უნივერსიტეტებში ფილოლოგიისა და კომპიუტერული კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით. 1997 წლიდან დღემდე იგი ასწავლის ტრენტოს, ბოლონისა და სალერნოს უნივერსიტეტებში შემდეგ დისციპლინებს: ინფორმატიკა და ჰუმანიტარული მეცნიერებები, ტექსტის ანალიზი კომპიუტერის დახმარებით, თანამედროვე იტალიური ლიტერატურა, იტალიური მეტრიკა, შუასაუკუნეების ლათინური და იტალიური ტექსტების XML კოდირება და სხვ. **ჯან პაოლო რენელო** არის 53 პუბლიკაციის, მათ შორის მონოგრაფიის ავტორი; ჩართულია პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს დანტეს ციფრული ენციკლოპედიის მომზადებას.

2011-2012 სასწავლო წელს ჯან პაოლო რენელო თსუ-ს მონვევითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით თსუ-ს დოქტორანტებს წაუკითხა ინტენსიური სასწავლო კურსი: „ტექსტის კვლევა კომპიუტერული მეთოდებით“, რომელმაც მსმენელთა დიდი მონონება დაიმსახურა, რაც გახდა საზაფხულო სკოლაში მისი მონაწილეობის ერთ-ერთი წინაპირობა.

დიმიტარ ილიევი არის ფილოლოგიის დოქტორი, სოფიის უნივერსიტეტის კლასიკური თანამედროვე ფილოლოგიის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიისა და კომპიუტერული ლინგვისტიკის სპეციალისტი. იგი არის ბულგარეთის ბერძნული წარწერების კორპუსის ელექტრონული გამოცემის ციფრული მოდელის ავტორი, ხელმძღვანელი პროექტისა, რომელიც მიზნად ისახავს სოფიის უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის ცენტრის შემდგომ განვითარებას. დიმიტარ ილიევს გამოქვეყნებული აქვს 16 სამეცნიერო ნაშრომი და მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე საერთაშორისო პროექტში ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით. იგი მონაწილეობდა ბულგარეთის ბერძნული წარწერების დიგიტალიზაციის, მათი ელექტრონული ბაზის – ტელამონის – შექმნის პროცესში და იყო ანტიკური სამყაროს ციფრული ენციკლოპედიის – რომულუს ბულგარიკუსის – თანარედაქტორი.

საზაფხულო სკოლის მოსალოდნელი შედეგები:

საზაფხულო სკოლის მსმენელები გამოიმუშავენ შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

ცოდნა და გაცნობიერება: საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის შედეგად სტუდენტებს ეცოდინებათ ხელოვნური ენების, ტექსტის კოდირებისა და ანალიზის თეორიული ასპექტები; AntConc როგორც ტექსტის ანალიზის ინსტრუმენტი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის შედეგად სტუდენტები შეძლებენ ციფრული ფილოლოგიის ცალკეული მეთოდების გამოყენებას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის. კერძოდ, ისინი შეძლებენ სხვადასხვა ზომისა და სირთულის ტექსტის კოდირებასა და ანალიზს.

სწავლის უნარი: საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის შედეგად სტუდენტი შეძლებს ციფრული ფილოლოგიის მეთოდების ცოდნის დამოუკიდებლად სრულყოფას შესაბამისი ელექტრონული რესურსების, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით.

სწავლის შედეგების მიღწევის დონე დადგინდება შეფასების შესაბამისი სისტემის გამოყენებით (100 ქულიანი სისტემით): დასწრება, ლექციებსა და პრაქტიკუმებზე აქტიურობა: 30 ქულა; პრაქტიკუმზე მიღებული დავალების შესრულება: 30 ქულა; საბოლოო გამოცდა

(დამოუკიდებელი სამუშაო): 40 ქულა. შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ციფრული კვლევის მეთოდების თეორიული საფუძვლების ცოდნა, ციფრული ფილოლოგიის მეთოდების პრაქტიკული გამოყენების უნარი.